საქართველოს
პირველი არხი

SONAR
Market metrics

# ტელეაუდიტორიის კვლევა

ტელევიზიების მიმართ ნდობა, ტელეყურების სიხშირე,
ტელეაუდიტორიის დემოგრაფიული სტრუქტურა

# სატელეფონო კვლევა

კვლევა ჩატარდა კვლევითი კომპანია “სონარის” მიერ.
1-9 ოქტომბერი, 2020

სატელეფონო კვლევა
გენერალური ერთობლიობა 18+ 2,512,735
შერჩევის ზომა: 1500
შერჩევის ცდომილება: 3.1%

# კვლევის მეთოდოლოგია

| | |
|---|---|
| **კვლევის მეთოდი:** | რაოდენობრივი კვლევა სატელეფონო ინტერვიუს მეთოდით |
| **საველე სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდი:** | 10/01/2020 - 10/09/2020 |
| **შერჩევის მეთოდი:** | სტრატიფიცირებული, სტრატებში მარტივი შემთხვევითი. სტრატებს წარმოადგენს რეგიონი და დასახლების ტიპი. |
| **გენერალური ერთობლიობა:** | საქართველოს მოსახლეობა 18+ |
| **შერჩევის ჩარჩო:** | საქართველოს მოქალაქეების სატელეფონო ბაზა, რომელშიც ფიქსირებულია 1,400,000  სატელეფონო ნომერი |
| **შერჩევის ზომა:** | 1500 ინტერვიუ |
| **შერჩევის ცდომილება:** | მაქსიმალური შერჩევის ცდომილება 95%-იანი სანდოობის გარანტიით: 3.1%. გათვალისწინებულია არაერთგვაროვანი წონებით გამოწვეული „დიზაინ ეფექტი“. |
| **მონაცემთა შეწონვის მექანიზმი:** | მონაცემები შეწონილია რეგიონებისა და დასახლების ტიპის მიხედვით. რეგიონებში მოხდა წონების კორექტირება სქესისა და ასაკის მიხედვით (ასაკობრივი ჯგუფები: 18-24, 25-34, 35-44, 45-54, 55-64, 65+). |

საქართველოს
პირველი არხი

SONAR
Market metrics

# ტელემაყურებელთა პროპორცია და დემოგრაფიული სტრუქტურა საქართველოში

გენერალური ერთობლიობა: საქართველოს მოსახლეობა 18+
განხორციელებული ზარების რაოდენობა: 1728
ტელემაყურებელთა რაოდენობა: 1500

# ტელემაყურებელთა პროპორცია მოსახლეობაში (18+)

შეწონილი მონაცემები. შერჩევის ზომა: 1728

## ტელეყურება




შესწავლილი აუდიტორიის 83.1% ტელევიზორს უყურებს კვირაში მინიმუმ ერთხელ, 3,7% თვეში მინიმუმ ერთხელ, ხოლო დანარჩენი 13,1% ტელევიზორს უფრო იშვიათად, ან საერთოდ არ უყურებს.

## ტელემაყურებელთა პროპორცია ასაკობრივ ჯგუფებში




ტელემაყურებლების პროპორცია იზრდება ასაკის მატების პარალელურად. 18-დან 34 წლამდე სეგმენტში ტელემაყურებლების პროპორცია 76,8%-ს შეადგენს, ხოლო 55 წელს ზემოთ ეს მაჩვენებელი 96,2%-ს აღწევს.

# ტელემაყურებელთა დემოგრაფიული სტრუქტურა

შეწონილი მონაცემები. შერჩევის ზომა: 1500

## ასაკობრივი ჯგუფი




## შერჩევის ზომა რეგიონების მიხედვით



# ტელემაყურებელთა დემოგრაფიული სტრუქტურა

შეწონილი მონაცემები. შერჩევის ზომა: 1500

## სქესი




## დასაქმება

სულ დასაქმებულთა პროპორცია: 54,3%




## საცხოვრებელი ადგილი



# ნდობა ტელევიზიების მიმართ

პასუხი კითხვაზე:

ახლა მე წაგიკითხავთ რამდენიმე ტელეარხს, თქვენ კი შეაფასეთ 5-ქულიან სკალაზე რამდენად ენდობით თითოეული ამ არხიდან მიღებულ ინფორმაციას? (ინტერვალების სკალა)

საქართველოს
**პირველი არხი**

SONAR Market metrics

# ტელევიზიებისადმი ნდობა

შეწონილი მონაცემები. შერჩევის ზომა: 1500

კითხვა: ახლა მე წაგიკითხავთ რამდენიმე ტელეარხს, თქვენ კი შეაფასეთ 5-ქულიან სკალაზე რამდენად ენდობით თითოეული ამ არხიდან მიღებულ ინფორმაციას?

(ინტერვალის სკალა (5-ბალიანი სკალა) რეალური პროცენტი)

## სატელევიზიო არხების მიერ გადაცემული ინფორმაციის მიმართ ნდობა




საშუალო: 3.27 | საშუალო: 3.35 | საშუალო: 3.37 | საშუალო: 3.01 | საშუალო: 2.99

ტელემაყურებლების 44% ენდობა „იმედის", 37% - „TV პირველის", 36% - „პირველი არხის", 34% - „მთავარი არხის", 28% - „რუსთავი 2-ს" მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

ინფორმაციის მიმართ ნდობის მაჩვენებელი აღემატება უნდობლობის მაჩვენებელს „იმედის", „TV პირველის", „პირველი არხის" და „მთავარი არხის" შემთხვევაში.

ყველაზე დაბალი უნდობლობის მაჩვენებელი აქედან აქვს საზოგადოებრივ მაუწყებელს (არ ენდობა - 16%). საზოგადოებრივი მაუწყებლიდან მიღებულ ინფორმაციას 2,2-ჯერ მეტი ადამიანი ენდობა, ვიდრე არ ენდობა.

# ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების, სიახლეების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყარო

შეწონილი მონაცემები. შერჩევის ზომა: 1500

კითხვა: რომელი წყაროდან იღებთ ძირითადად ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების, სიახლეების შესახებ? (პირველი და მეორე რიგის პასუხი)

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების, სიახლეების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყარო




ტელემაყურებელთა 69,9%-სთვის ძირითადი საინფორმაციო წყარო ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინტერნეტია, აქედან 64,7% ძირითადად ინფორმაციას სოციალური მედიიდან, 7,7% საინფორმაციო ვებგვერდებიდან, ხოლო 1,8% უშუალოდ ტელეარხების ვებგვერდებიდან იღებს.
ტელევიზია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ძირითადი საინფორმაციო წყაროა ტელემაყურებელთა 85,9%-სთვის.

# ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების, სიახლეების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყარო

შეწონილი მონაცემები. შერჩევის ზომა: 1500

| | ორივე პასუხი | პირველი რიგის პასუხი |
|---|---|---|
| TV | 85.9% | 55.6% |
| INTERNET | 69.9% | 40.3% |

კითხვა: რომელი წყაროდან იღებთ ძირითადად ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების, სიახლეების შესახებ? (პირველი რიგის პასუხი)

Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed).**
კორელაცია ასაკსა და ძირითად საინფორმაციო წყაროს შორის: -.454

## ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების, სიახლეების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყარო ასაკობრივი ჯგუფების ჭრილში

(პირველი რიგის პასუხი)




ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების, სიახლეების შესახებ ინფორმაციის ძირითადი (პირველი რიგის პასუხი) წყარო ინტერნეტია თუ ტელევიზია, კავშირშია ასაკთან. ასაკის მატების პარალელურად ტელევიზიის საინფორმაციო ღირებულება იმატებს, ხოლო ინტერნეტის იკლებს.
ინტერნეტის გამოყენება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმირების მიზნით ტელევიზიაზე უფრო მაღალია 45 წლამდე სეგმენტში, 45-54 წლის ასაკობრივ ჯგუფში ორივე წყაროს თითქმის თანაბარი მოცულობის სეგმენტი განიხილავს ძირითად საინფორმაციო წყაროდ, ხოლო 55 წლის ზემოთ ტელევიზიის როლი აუდიტორიის ინფორმირებაში მნიშვნელოვნად პრევალირებს ინტერნეტს.

შესწავლილი აუდიტორიის ერთი მესამედი ინტერვიუს დაწყების დროს უყურებდა ტელევიზორს.

## უყურებთ თუ არა ტელევიზორს ამ მომენტში?

